დირექტორის მოადგილის ადმინისტრირების დარგში

სამსახურეობრივი ბარათი

ანგარიში

შპს მარნეულის კოლეჯის სამოქმედო გეგმის წლიური შეფასების შედეგების შესახებ

ბატონო ირაკლი,

გაცნობებთ, რომ შპს მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით კოლეჯის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი გაწერილია კვარტალში ერთხელ (სასწავლო წლის მანძილზე 4-ჯერ), შეფასება ხორციელდება 2-ჯერ, ანგარიში მზადდება სასწავლო წლის ბოლოს. კოლეჯის სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესებზე პასუხისმგებელი პირია დირექტორის მოადგილე ადმინისტრირების დარგში.

2021-2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა იანვარში, აპრილში ივლისსა და ოქტომბერში. იანვრის თვის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ შესრულდა 38 აქტივობა, არ შესრულდა - 6 აქტივობა, მიმდინარე რეჟიმშია -11 აქტივობა. ივლისის თვეში - 12 აქტივობა, არ შესრულდა - 4 აქტივობა, მიმდინარე პროცესში იყო - 17 აქტივობა. ოქტომბრის თვეში შესრულდა 27 აქტივობა, არ შესრულდა - 5 აქტივობა. როგორც სამოქმედო გეგმის მიმდინარე ანგარიშში აღინიშნა, უშუალოდ გეგმის მიმდინარე (ივლისის თვის) შეფასების გრაფაში გამოიკვეთა <u>ტექნიკური ხარვეზი:</u> ამოცანა 5. ადმინისტრაციის საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან, რომელიც დაგეგმილი იყო ნოემბრის თვეში, არ შესრულდა. თუმცა, მიმდინარე შეფასების გრაფაში სხვა პროცესის მიმდინარეობაა განმეორებით აღწერილი, რაც ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენს. ოქტომბრის თვის მონიტორინგზე გამოიკვეთა იგივე სახის ხარვეზი გეგმის რამოდენიმე აქტივობის განხორციელების აღწერილობით ნაწილში. კერძოდ, მასწავლებლის (პერსონალის) კმაყოფილების და საჭიროებების კვლევის განხორციელება, მასწავლებლის (პერსონალის) კმაყოფილების და საჭიროებების კვლევის ანაგრიში, ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროებების დადგენა - ამ აქტივობების შესრულების გრაფებში პასუხისმგებელი პირის მიერ შეყვანილი ინფორმაცია მიმდინარე შეფასების დროს დაკარგულია. თუმცა, პასუხისმგებელმა პირმა (ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა) ივლისის თვის შეფასების ინფორმაცია შეიყვანა წლიური შეფასების გრაფაში და გააკეთა ცპეციალური ჩანიშვნა ამის შესახებ.

ასევე, იანვარში განხორცილებეული მონიტორინგის დროს მოხდა განსახორციელებელი აქტივობების შესრულება-არშესრულების გრაფებში აღრევა. ამ ტექნიკური ხარვეზების ჩასწორება მოხდა აპრილის მონიტორინგის ჩატარების პროცესში.

რაც შეეხება უშუალოდ საამოქმედო გეგმის მონიტორინგების მიხედვით მკაფიოდ ჩანს სურათი, თუ რომელი აქტივობა განხორციელდა, რომელი ვერ განხორციელდა და რა იყო ამის გამომწვევი მიზეზი. იგეგმება თუ არა ამ აქტივობის განხოორციელება მომავალში. ყველა აქტივობა შეავსო სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულმა პასუხისმგებელმა პირმა. მხოლოდ იმ შემთხვევებშ, სადაც პასუხისმგებელ პირად გაწერილი იყო კოლეჯის ინფორმაციის ტექნოლოგიის სპეციალისტი გიორგი ტაბატაძე, მისი სამსახურიდან წასვლის გამო შეავსო ახალმა სპეციალისტმა არტემ კობზევმა.

წარმოგიდგენთ, კოლეჯის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების შედეგებს:

I. **მიზანი: ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა**

<u>**დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება;**</u>
სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი - <u>არ განხორციელდა.</u> სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი იგეგმება 2022 წლის დეკემბერში
2021 -2022 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მონიტორინგის პროცესისი შედეგად შეფასდა შესრულებული აქტივობების შედეგები, მათი შესრულების ეტაპები. სამოქმედო გეგმის წლირი ანგარიშის მეშვეობით გამოიკვეტება შესრულებული სამუშაოს აღწერა და მიღწეული შედეგები. შეფასების პროცესში გამახვილდა სხვადასხვა აქტივობის შესრულების ვადებზე, პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებაზე. ზოგადად, ოთხივე მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა პრობლემა, რომ დოკუმენტში მონაცემების შეყვანის დროს იკარგებოდა სხვადასხვა გრაფებში ინფორმაცია, ან ხდებოდა არასწორი ინფორმაციის დაფიქსირება. პასუხისმგებელი პირის მიერ გაიწერა სამუშაოს შესრულების შედეგები : იანვრის თვის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ შესრულდა 38 აქტივობა, არ შესრულდა - 6 აქტივობა, მიმდინარეობს -11 აქტივობა. აპრილის თვეში შესრულდა 11 აქტივობა, მიმდინარე პროცესში იყო -21 აქტივობა, არ შესრულდა - 2 აქტივობა. ივლისის თვეში - 12 აქტივობა, არ შესრულდა - 4 აქტივობა, მიმდინარე პროცესში იყო - 17 აქტივობა. ოქტომბრის თვეში შესრულდა 27 აქტივობა, არ შესრულდა - 4 აქტივობა.

შიდა შეფასების სისტემის მონიტორინგი -
ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის წარმოდგენილო ინფორმაციის მიხედვით ჩანს, რომ ვერიფიკაციის მექანიზმის შესაბამისად, ნოემბრის თვეში სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე დამტკიცდა ვერიფიკაციის გეგმა, განაწილდა შიდა ვერიფიკატორებს შორის მოდულები, რომლებიც რისკების სისტემის მიხედვით შეირჩა, მოხდა დარგის სპეციალისტების მოწვევა. სამი რისკ გარემობა შეირჩა 2021-2022 წლისთვის. სამუშაო ჯგუფი ყოველი თვის ბოლოს ატარებს სამუშაო შეხვედრებს, (იანვარი, თებერვალი მარტი , აპრილი). შეხვედრებზე შიდა ვერიფიკატორები და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული დარგის სპეციალისტები განიხილავენ ვერიფიკაციის დასკვნებს, აღსანიშნავია, რომ ვერიფიკაციის დასკვნა იწერება და შესწავლა/დაკვირვება მიმდინარეობს თითოეულ შეფასების ინსტრუმენტზე. 31 იანვარს (N624) და 28 აპრილს (N3332) ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა კვარტალური ანგარიში წარუდგინა კოლეჯის დირექტორს ვერიფიკაციის პროცესებთან დაკავშირებით აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გასული თვეების მანძილზე ორჯერ მოუწია ჯგუფის ხელმძღვანელს შუამდგომლობის დაყენება მოდულის შეფასების შედეგების გასაუქმებლად, რაც გამოწვეული იყო მასწავლებლის მიერ შეფასების სისტემის სამივე ეტაპზე დაშვებული ხარვეზით . ვერიფიკაციის პროცესები სამოქმედო წლის მანძლზე მიმდინარეობდა ვერიფიკაციის მექანიზმის და ვერიფიკაციის გეგმის მიხედვით. ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის 7 შეხვედრა შედგა, რომლის დროსაც ჯამში განხილული იყო ვერიფიკაციის გეგმით გაწერილი 23 მოდულის შეფასების სისტემის (ვერიფიკაციის დასკვნების) განხილვა. ვერიფიკაციის პროცესების დასრულების შემდეგ ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შედეგების გაანალიზების საფუძელზე შეიქმნა ვერიფიკაციის ანგარიში და გაიწერა რეკომენდაციები. (13.10.2022 N95120) ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტების მიერ 2022 წლის თებერვლიდან -აგვისტომდე, მიმდინარეობდა სასწავლო პროცესზე დაკვირვება და

მონაცემების შეგროვება, აგვისტოს თვეში მოპოვებული მონაცემების შესწავლი და ანალიზის შემდეგ შეიქმნა ანგარიში (22.08.2022 N6019)

სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგების ანალიზი შმიმდინარე და წლიური შეფასების გრაფიდან ირკვევა, რომ სპროგრამების გაუმჯობესების მიზნით სამუშაო შეხვედრბი მიმდინარეობდა მთელი წლის მანძილზე. 2022 წლის 20 ივნისს შეხვედრის შედეგად ცვლილები განხორციელდა აღმზრდელის და საექთნო განათლების პროგრამებში, კერძოდ მოდულებს დაემატა ახალი სახელმძღვანელოები. შეხვედრა გაიმართა ასევე 2022 წლის 23 სექტემბერს და განხილვის საგანი იყო პროგრამებზე სწავლების ფორმა, შეფასების პროცესზე სტუდენტების უკუკავშირის გაძლიერება, რისთვისაც ყველა მასწავლებელს დაევალა განმეორებით შეფასებამდე სტუდენტებთან საკონსულტაციო შეხვედრის ჩატარება შეფასების შედეგების განხილვის მიზნით.

ადმინისტრაციის საინფორმაციო შეხვედრები სტუდნტებთან:

მიმდინარე შეფასების გრაფიდან იკვეთება, რომ ოთხივე პროგრამის ხელმძღვანელებმა ჩაატრეს საინფორმაციო შეხვედრები პირველი სასწავლო წლის სტუდნტებთან ნოემბრის თვეში და მიაწოდეს საკვანძო ინფორმაცია სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით.

2.მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

შრომის ბაზრის კვლევის განხორციელება და შრომის ბაზის კვლევა

<u>არცერთი აქტივობა არ განხორციელებულა.</u> პასუხისმგებელი პირის მიერ გაწერილი შეფასებით იკვეთება, რომ რადგან ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ დირექტორს ეცნობა (21.02.2022. N1094), რომ კვლევის განსახორციელებლად საჭირო იყო როგორც ფინანსური ისე ადამიანური რესურსი, მისი მაშტაბურობიდან გამომდინარე, რაც ერთი კოლეჯის ბაზაზე ვერ განხორციელდებოდა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დამატება

საგანმანათლებლო პროგრამის დამატების პროექტის დამტკიცება:

ა. ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამა (დამატება)

ბ. პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამის პროექტის დამტკიცება (დამატება)

როგორც აკადემიური დირეექტორის მიერ შევსებული შეფასებებიდან იკვეთება, ამ აქტივობის <u>პირველი ნაწილი არ შესრულდა,</u> ვინაიდან სამინისტროს მიერ არ მომზადდა და არ დამტკიცდა ჩარჩოდოკუმენტი ხოლო მეორე ნაწილი შესრულდა - 2022 წლის იანვარში კოლეჯის დირექტორს ინიციატივიტ მიმართა საექთნო განათლების პროგრამის ხელმძღვანელმა თამარ ალავიძემ გერიატრიული ასისტენტის მოსამზადებელი პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი პროგრამის შემუშავების მიზნით და 17 აინვარს ჯგუფის შეხვედრაზე გადაწყდა წარედგინოს დირექტორს დასამტკიცებლად შემუშავებული პროექტი, რომელიც დამტკიცდა დირექტორის 21 აინვრის N312 ბრძანებით. ამის შემდეგ რეგულაციების დაცვით გადაეგზავნა ცენტრს რეგისტრაციის მოსაპოვებლად. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 25 თებერვლის N6 22 0000196678 ბრძანებით კოლეჯს მიენიჭა ამ პროგრამის განხორციელების უფლება.

დამსაქმებელ და პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა

აღნიშნული აქტივობაც შესრულდა. მასზე პასუხისმგებელი პირი, - პრაქტიკის მენეჯერის ინფორმაციით 2022 სასწავლო წელს განახლდა კოლეჯის დასაქმების ბაზა. კოლეჯში არსებულ ბაზას დაემატა ახალი დამსაქმებელი ორგანიზაციები და შედგა მათთან კომუნიკაცია. დამსაქმებელ ორგანიზაციებს გაეგზავნათ წერილი, სადაც მითითებულია კოლეჯის რეკვიზიტები, რათა არსებული ვაკანსიის შემთხვევაში მოხდეს კოლეჯთან დაკავშირება. მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა როგორც პარტნიორ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების განახლება, ასევე საწარმო პრაქტიკის განხორციელება თითოეული პროგრამისთვის შესაბამის ორგანიზაციასთან, თითოეული შესრულდა დათქმულ ვადებში. მიმდინარეობდა მონიტორინგი და კომუნიკაცია როგორც სტუდენტებთან ასევე პარტნიორ ორგანიზაციებთან. 2022 წლის 1 ივნისს განახლდა პრაქტიკის ბაზა ბაგა ბაღების გაერთიანებასთან,დაიდო ახალი მემორანდუმი. 2022 წლის აგვისტოში გაფორმდა ახალი მემორანდუმი

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბაგაბაღების გაერთიანებასთან. განახლდა პროგრამული დანართი ბოლნისის, ჯეოჰოსპიტალის და ფსიქიტრიული მედიცინის კლინკებთან. პრაქტიკის კვლევა მიმდინარეობდა სამოქმედო წლის მანძილზე (2022-2023).

საწარმო პრაქტიკის კვლევის განხორციელება

კვლევა განახორციელა კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურმნა და შეფასებიდან იკვეთება, რომ კვლევის ცდის პირების შერჩევა მოხდა კვლევის მეთოდოლოგიის მიხდვით, კვლევა ჩატარდა როგორც თვისებრივი ისე რაოდეობრივი, და მონაცემები გადაგზავნილ იქნა ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან. პრაქტიკის კვლევის მონაცემების შესწავლა მიმინარეობდა სექტმებრის და ოქტომბრის თვეში, მონაცემების შესწავლის და ანალიზის შედეგები აისახა კვლევის ანგარიშში და წარედგინა კოლეჯის დირექტორს. (13.10.2022 N9512) ხარისხის მართვის სამსახურის მიერ დაგეგმილი დამსაქმებლის კვლევის განხორციელება დაიწყო მარტი-აპრილის თვეში, რისთვისაც მოძიებულ იქნა დამსაქმებელ ორგანიზაციათა ბაზები: გამოყენებულ იქნა კოლეჯის ბაზა და საქართველოს საქსტატზე ატვირთული ორგანიზაციათა ბაზა, მოხდა ორგანიზაციების შერჩევა კოლეჯის პროფილისა და ინტერესის მიხედვით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 30-მდე ორგანიზაციამ, კვლევა განხორციელდა თვისებრივი კვლევის მეთოდით, დამზადდა ჩაღრმავებული კვლევის ტრანსკრიფტები და ისინი ინახება ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან. დამსაქმებლის კვლევის მონაცემების (თვისებრივი) შესწავლა და ანალიზი განხორციელდა მაისის თვეში შედეგები აისახა კვლევის ანგარიშში და გადაგზვნილ იქნა კოლეჯის დირქტორთან (31.05.2022 N4177)

საგანმანათლებლო პროცესის ადმინისტრირება

თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობა მიმდინარეობს სტრუქტურის ხელმძღვანელების და ხარისხის უფროსი სპეციალისტის მიერ ამ ანგარიშის წერის პარალელურად, ასე რომ, შედეგები ამ ანგარიშში ვერ აისახება.

პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კვლევის განხორციელება და კვლევის ანგარიში

ხარისხის მართვის სპეციალისტების მიერ შევსებული შეფასების გრაფიდან იკვეთება, რომ სტუდენტთა კმაყოფილენის კვლევის განხორციელება ხდებოდა ივნისის და ივლისის თვეებში, კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამიისად მოხდა სტუდენტთა შერჩევა როგორც თვისებრივი ისე რაოდეობრივი კვლევისთვის. თვისებრივი კვლევის მონაცემების ტრანსკრიპტები გამზადდა და გადაიგზვნა ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვნელთან, ხოლო რაოდენობრივი კველვა მიმდინარეობდა ხელმძღვანელის ღრუბლოვანი სივრცეში განთავსებული კვლევის ინსტრუმენტით და მონაცემები ინახება მასთან. პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის მონაცემების შესწავლა და ანალიზი მოხდა აგვისტოს თვეში, მომზადდა კვლევის ანგარიში და წარედგინა კოლეჯის დირექტორს 10.09.2022 N6635)

3. კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სტუდენტების მომზადება

დასაქმების ხელშეწყობა

კარიერული დადგეგმვის და პროფორიენტაციის მენეჯერის მიერ შევსებული შეფასებიდან იკვეთება, რომ 2022 წლის 16 ივნისს მარნეულის კოლეჯისა და მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ორგანიზებით გაიმართა დასაქმების ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქვემო ქართლში არსებულმა თითქმის ყველა წამყვანმა ორგანიზაციამ. მათ მსურველებს და დაინტერესებულ პირებს გააცნეს ვაკანსიები, სიახლეები და ა.შ. ფორუმის ფორმატი ითვალისწინებდა კურსდამთავრებულთა ინფორმირებულობასა და ჩართულობას. ბაზების მეშვეობით განხორციელდა კურსდამთავრებულებთან სატელეფონო კომუნიკაცია და მათი მოწვევა დასაქმების ფორუმზე.

სამოქმედო გეგმის მიმდინარე და წლიური შეფასების გრაფიდან იკვეტება რომ პროფორიენტაციისა და კარიერულკი დაგეგმვის სპეციალისტი მთელი წლის განმავლობაში ახორციელებდა საინფორმაციო შეხვედრები საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფორიენტაციის შესახებ, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს:საინფორმაციო შეხვედრების ძირითადი თემა პროფესიის სწორად არჩევა, მისი მნიშვნელობა, კარიერული წინსვლის გადაწყვეტილებების მიღების პროცესის განსაზღვრა იყო; შრომითი ბაზრისა და დასაქმების შესაძლებლობების მახასიათებლების გაცნობა. CV- სამოტივაციო

წერილის მნიშვნელობა დასაქმებაში. შეხვედრებზე სტუდენტებს, მსმენელებს მიეწოდებოდათ ინფორმაცია საქართველოში არსებული დასაქმების საიტებისა და ვებ-გვერდების შესახებ.

უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

ამ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი, დირექტორის მიერ შევსებული შეფასების გრაფიდან იკვეთება, რომ 2021 წლის 13 დეკემბრის N7840 ბრძანებით სასერტიფიკატო პროგრამებზე ჩაირიცხა მსმენელები სამ პროგრამაზე: ექთნის თანაშემწე, ფარმაცევტის თანაშემწე და ინფორმაციის ტექნოლოგია. პროგრამა დას რულდა 2022 წლის აგვისტოში და დირექტორის ბრძანების საფუძველზე იმ მსენელებს, ვინც წარმატებით აივისა პროგრამ გადაეცა სერტიფიკატები. ხოლო პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის ფარგლებში "შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 აპრილის N3234 ბრძანებით ჩაირიცხა: პროფესიული მომზადების პროგრამა სალაროს ოპერაციების განხორციელება - 11 აპლიკანტი; პროფესიული გადამზადების პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობა - 22 აპლიკანტი; პროფესიული მომზადების პროგრამა კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა - 17აპლიკანტი; პროფესიული მომზადების პროგრამა - გერიატრიული ასისტენტი - 10 აპლიკანტი." მომზადებაგადამზადების პროგრამის მეორე ეტაპი არ განხორციელდა, ვინაიდან ჯანდაცვის სამინისტროს დასაქმების სააგენტოს მიერ არ გამოცხადდა პროგრამის დაფინანსება, სოციალური მდგომარეობის გამო თვითდაფინანსებით სწავლის მსურველი არ გამოჩენილა.

ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით შპს მარნეულის კოლეჯის მიერ 2021 წლის შემოდგომით განხორციელებული პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების მონიტორინგი განახორციელა კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურმა, მონიტორინგი მიმდინარეობდა 5 მიმართლულებით, (მარეგულირებელი დოკუმენტების სტანდართან შესაბამისობა; მსმენელთა და განმახორციელებლთა კმაყოფილების დადგენა, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, შეფასების პროცესების მონიტორინგი და სასწავლო რესურსების, და ა.ს სტანდარტთან და პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა). ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ მოხდა მონაცემების შესწავალ და ანალიზი. შესაბამისი ანგარიში წარედგინა დირექტორს - 10 იანავარს 2022 წლის დოკუმენტის N 15. რაც შეეხება 2022 წლის გაზაფხულს 18 აპრილიდან დაწყებულია პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების 4 პროგრამის განხორციელება, და ხარისხის მართვის სამსახურის მიერ დაგეგმილია შესაბამისი ღონისძიებები მონიტორინგის განსახორციელებლად.
2022 წლის გაზაფხულს 18 აპრილიდან კოლეჯმა დაიწყო პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების 4 პროგრამის განხორციელება, და ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა 5 მიმართულების მონიტორინგი, მოვებული მონაცემების შესწავლა და ანალიზი მოხდა ივლისი თვეში და ანგარიში კოლეჯის დირქტორს წარედგინა -18.08.2022 N5952

პროფორიენტაცია და კარიერული დაგეგმვის ხელშეწყობა;

პასუხიმგებელი პირის, კოლეჯის დირექტორის მიერ შევსებული შეფასების მიხედვით აღნიშნული <u>აქტივობა არ განხორციელებულა</u> , ვინაიდან სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა არ განხორციელდა სახელმწიფოს მხრიდან დაბალი აქტიურობის და პროექტის არარენტაბელობის გამო
პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ შევსებული შეფასების გრაფიდან იკვეთება, რომ 2021-2022 სასწავლო წლის ნოემბერ-დეკემბერში განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან და მსმენელებთან პროფორიენტაციის შესახებ, 2021-2022 წლის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ყველა მნიშვნელოვანი აქტივობა შესრულდა.

4. ადამიანური რესურსის განვითარება

პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარება

მიმდინარე შეფასების გრაფიდან ჩანს, რომ 2021 წლის 22 ნოემბერს კოლეჯის დირექტორის მოადგილის მიერ დაიწერა პერსონალის განვითარების გეგმა N7294 (22,11,2021), რომელიც დაიწერა კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგების შესწავლის და ანალიზის მონაცემების დამუშავების საფუძველზე. ზემოაღნიშნული კვლევები ჩატარდა 2020-2021 სასწავლო წლის განმავლობაში. კვლევების შედეგად გამოიკვეთა რამოდენიმე მწვავე პრობლემა, რომელიც მოითხოვდა სასწრაფო რეაგირებას. დაიგეგმა ვორქშოპის ცილკი მასწავლებლებისათვის „სწავლების მეთოდები, პროცესის დაგეგმვა და შეფასება“ . პერსონალის განვითარების გეგმის მიხედვით გაწერილი ვორქშოპის ცილკი მასწავლებლებისათვის „სწავლების მეთოდები, პროცესის დაგეგმვა და შეფასება“ გაიმართა 2021 წლის ნოემბრიდან 2022 წლის იანვრის ვადაში, სადაც მონაწილეობა მიიღო კოლეჯის მასწავლებლების უმეტესმა ნაწილმა. ვორქშოპის დასრულების შემდეგ დირექტორის მოადგილეს ტრენერმა მიმართა წერილით (N8 (04.03.2022) სადაც დეტალურად იყო აღწერილი მუშაობის პროცესი და შედეგები. ვორქშოპის დასრულების შემდგეგ მონაწილე პირებს 2022 წლის 4 აპრილს გადაეცათ სწავლების დამადასტურებელი სერტიფიკატები, რომლებიც მოთავსებულია მათ პირად საქმეებში.

ხარისხის მართვის სპეციალისტების მიერ შევსებული შეფასების გრაფიდან ჩანს, რომ პერსონალის კმაყოფილების დონისა და საჭიროებების კვლევის განხორციელება ხდებოდა 2021 წლის ნოემბრის და დეკემბრის თვეებში, კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად მოხდა პერსონალის შერჩევა როგორც თვისებრივი ისე რაოდეობრივი კვლევისთვის. თვისებრივი კვლევის მონაცემების ტრანსკრიპტები გამზადდა და გადაიგზვნა ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან, ხოლო რაოდენობრივი კველევა მიმდინარეობდა ხელმძღვანელის ღრუბლოვანი სივრცეში განთავსებული კვლევის ინსტრუმენტით და მონაცემები ინახება მასთან.

აკადემიური პერსონალის განვითარების გეგმაში ცვლილება <u>არ განხორციელებულა</u> მისი საჭიროების არარსებობის გამო

ადმინისტრაციული პერსონალის მართვა და პროფესიული განვითარება

აღნიშნულ აქტივობებზე პასუხიმგებელი პირის მიერ შევსებული გრაფიაში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის მონიტორინგი განხორციელდა დეკემბერი, მარტი, ივნისისა და სექტემბრის თვეებში. ადმინისრაციული პერსონალს მეილების მეშვეობით, დრაივზე გაუზიარდათ მათი სამუშაო გეგმები, რომლებიც შეავსეს დადგენილ ვადაში. მონიტორინგის შედეგად მოპოვებული მონაცემის მიხედვით, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელს წარედგინა მოხსენებითი ბარათი ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის მონიტორინგის შედეგების თაობაზე, რომლებიც გატარებულია ხარისხის მართვის სამსახურის ჟურნალში და ინახება ხარისხის მართვის სამსახურში. ივნისის თვის მონიტორინგის შედეგების შესახებ წარდგენილი მოხსენებითი ბარათი გახლავთ რეგისტრაციის N52, რეგისტრაციის თარიღით: 30.06.2022, ხოლო სექტემბრის თვის მონიტორინგის შედეგების შესახებ წარდგენილი მოხსენებითი ბარათის რეგისტრაციის N70, თარიღი: 27.09.2022. სექტემბრის თვეში განხორციელდა ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის წლიური მონიტორინგი.პერსონალის კმაყოფილების დონისა და საჭიროებების კვლევის განხორციელების შედეგად მოპოვებული რელევანტური მონაცემების შესწავლის შედეგად, დადგინდა ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილება და გამოვლინდა მათი საჭიროებები, რაც ასახულ იქნა კვლევის ანგარიშში. 24.01.2022, № 00000382.

ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროებებიდან გამომდინარე პერსონალის პროფესიული გაუმჯობესების გეგმაში ცვლილებების შეტანა - ამ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის, დირექტორის მოადგილი მიერ შევსებული გრაფაში აღნიშნულია, რომ პერსონალის განვითარების გეგმაში ცვლილება

განხორციელდა 2022 წლის 30 ივლისს დირექტორის მოადგილის N5627 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე განვითარების გეგმას ჩაემატა ორი პუნტქი:

- პერსონალის გადამზადება სახანძრო-სამაშველო სამუშაოებისათვის მშვიდობიან და ექსტრემალურ სიტუაციებში
- სპეციალისტის გადამზადება შრომის უსაფრთხოების საკითხებში

პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება

ხარისხის მართვის სამსახურის ხელმღვანელმა შეისწავლა ყველა მიზნობრივი მონაცემეი პერსონალის მუშაობის შედეგების შეფასების მიზნით, გამზადდა ანგარიში და წარედგინა კოლეჯის დირექტორს 13.10.2022 N9512

პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ადმინისტრაციული პერსონალის წარმატებული კადრების გამოვლენა და წახალისება; მათი მოტივაზიის გაზრდა;

სამოამედო გეგმის შესაბამისი აქტივობების შეფასების გრაფაში გაწერილია, რომ კოლეჯის შინაგანაწესის მე-5 მუხლში „პერსონალის წახალისება“ გაწერილია პერსონალის წახალისების პროცედურა და ის ხუთი კრიტერიუმი, რაც უნდა დააკმაყოფილოს პერსონალმა. 2022 წლის დეკემბერში მოხდა პერსონალის ამ კრიტერიუმების შესრულების აღრიცხვის, დაჯამების და გამარჯვებული კანდიდატების გამოვლენის პროცესი. აღნიშნულ პროცესზე მუშაობდა შესაბამისი ჯგუფი. გამოვლენილი შედეგების დაჯამება და აღრიცხვა აისახა სპეციალურ ცხრილში. გამოვლინდნენ ის თანამშრომლები, რომლებმაც მოიპოვეს ყველაზე მეტი ქულები. შინაგანაწესის შესაბამისად 2021 წლის დეკემბრის ბოლო კვირაში აღნიშნული ცხრილი სოციალური გვერდის მეშვეობით გახდა პერსონალისათვის ხელმისაწვდომი და საჯარო, თუმცა, პრეტენზია ან შენიშვნა არ გამოთქმულა. ამ აქტივობის შესახებ კოლეჯის დირექტორს გაეგზავნა სამსახურებრივი ბარათი N591 (31.01.2022) ხოლო მარნეულის დირექტოის ბრძანება N603-ით მოხდა შპს მარნეულის კოლეჯის გამარჯვებული პერსონალის წახალისება მადლობის სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით

გარდა ზემოაღნიშნულისა, კოლეჯში წახალისებულია პერსონალის ინიციატივები. აქტივობის შეფასების გრაფაში მოცემული ინფორმაციის მიხედვით 2022 წლის 31 იანვარს კოლეჯის დირექტორს მიმარტა საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ინიციატივით, რომ მას სურდა შეესწავლა გრაფიკული დიზაინის საბაზისო კურსი, რაც გააძლიერებდა კოლეჯის საქმიანობას. დამყარდა კომუნიკაცია კურსის განმახორციელებელთა, შედგა მოლაპარაკება და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ინიციატივა იქნა ფინანსურად მხარდაჭერილი. მან წარმატებით დაასრულა კურსი და მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი. 2022 წლის 4 მარტს დირექტორის მოადგილეს მიმართა ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა იმიციატივით, რომ ინოვაციური განათლების ცენტრში ტარდება ტრენინგი კვლევის სწორად დაგეგმვა და განხორციელება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. დირექტორის მოადგილემ სიტყვიერად მიმართა კოლეჯის დირექტორს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მოხდა კომუნიკაცია მარნეულის კოლეჯსა და ინოვაციური განათლების ცენტრს შორის და ხარსიხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის ინიციატივა იქნა მხარდაჭერილი, რაც დასტურდება სერტიფკატით.

სხვადასხვა თემატიკის ღონისძიებების დაგეგმვა პერსონალის წახალისების მიზნით. (საახალწლო ღონისძიება და ექსკურსია) პასუხისმგებელმა პირმა საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა მიმდინარე შეფასების გრაფაში გაწერა, რომ პერსონალის წახალისების მიზნით, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ შესრულდა ორი აქტივობა/ღონისძიება. 1) კოლეჯის პერსონალისთვის ჩატარდა ღონისძიება „სეკრეტ-სანტა“. 2) მოხდა კოლეჯის მასწავლებლების იდეის განხორციელება: კოლეჯის სტუდენტების - მრავალშვილიანი დედების წახალისება და საჩუქრების დარიგება.

5. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

სასწავლო რესურსის განვითარება

აღნიშნული აქტივობის შეფასების გრაფაში აღნიშნულია, რომ 2021 ნოემბერში და 2022 წლის აპრილში კოლეჯში განხორციელდა პროფესიული პროგრამების მიხედვით სასწავლო მასალის და აღჭურვილობის საჭიროების დადგენის მიზნით მონიტორინგი. მონიტორინგი განახორციელა დირექტორის მოადგილემ ადმინისტრირების დარგში შესაბამის პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. თითოეული მონიტორინგის შედეგები აღწერილია შესაბამის "სასწავლო მასალის განახლება/საჭიროების დადგენის და შემოწმების აქტებში", როლმეიც აღრიცხულია რეესტრში. მთელი წლის განმავლობაში კოლეჯში ხდება სასწავლო მასალის დააღჭურვილობის საჭიროების გამოვლება, რის საფუძველზეც ხდება ყველა საჭირო მასალის თუ აღჭურვილობის შეძენა პროგრამების მიხედვით.

ხარისხის მართვის სპეციალისტის მიერ შევსებული შეფასებიდან იკვეთება, რომ ხარისხის მართვის სამსახურის მიერ დაგეგმილი სასწავლო რესურსის საგანმანათლებელო პროგრამასთან შესაბამისობის დადგენა განხორციელდა ორგზის: 2021 წლის 6 ნოემბერს. შემოწმების შედეგად შეივსო შესაბამისი ფორმა: სასწავლო, საინფორმაციო-საკომუნიკაციო რესურსებისა და უსაფრთხოების ნორმების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის, რომელიც გატარებულია ხარისხის მართვის სამსახურის ჟურნალში, რეგისტრაციის N37, 06.11.2021, ხოლო მეორედ აქტივობა შესრულდა 2022 წლის 8 აპრილს, რა დროსაც ასევე შეივსო შესაბამისი ფორმა: სასწავლო, საინფორმაციო-საკომუნიკაციო რესურსებისა და უსაფრთხოების ნორმების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის, რომელიც გატარებულია ხარისხის მართვის სამსახურის ჟურნალში რეგისტრაციის N34, თარიღით 08.04.2022. აღნიშნული ფორმები ინახება ხარისხის მართვის სამსახურის მიერ.

მატერიალური რესურსის განვითარება

აღნიშნული აქტივობის შეფასების გრაფაში აღნიშნულია, რომ 2022 წლის ნოემბერა და დეკემბერში კოლეჯში მოხდა მატერიალური რესურსის საჭიროების დადგენის მიზნით მონიტორინგი. შემოწმდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა, ავეჯი და სხვა მატერიალური ქონება. მონიტორინიგის შედეგი აღწერილია შესაბამის აქტში - მატერიალური რესურსის საჭიროების დადგენის აქტი N 18.(12.2021) 2021წლის დეკემბერში მოხდა კოლეჯის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა კომპიუტერ i5, მონიტორები. ასევე, სტუდენტების შიდა რეკრეაციული ზონის გასაუმჯობესებლად მოხდა საყვევილე ქოთნის, მიწის და მცენარის შეძენა.კოლეჯის ტერიტორიაზე ჰიგიენური ნორმების უკეთ დაცვისათვის 2022 წლის 2 თებერვლის ხელშეკრულების საფუძველზე ხელოსანმა დაამონტაჟა აღნიშნული ბაკი, 2022 წლის ივლისის თვეში მარნეულის კოლეჯმა კომპანია შპს ისლაბისგან შეიძინა ინფორმაციული ტექნიკა: პროექტორი 2 ც, კომპიუტერის შიდა მეხსიერების ბარათი 2 ცალი, ლეპტოპის ოპერატიული მეხსიერება 1 ცალი და ა.შ. გარდა ამისა, შერემონტდა კოლეჯში არსებული ვიდეოჩამწერი (ხელშეკრულება N89) 2022 წლის 31 აგვისტოს შპს მარნეული კოლოეჯსა და შპს კლინიკა მედX ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება N93, რომლის მიხედვითაც კლინიკა იღებს ვალდებულებას კოლეჯის ელექტროენერგიით უწყვეტად მომარაგების და სარეკრეაციო ზონის (ეზოს) მოვლაზე და დასუფთავებაზე.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო სერვისების განვითარება

როგორც ამ აქტივობის შეფასებიდან ირკვევა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო სერვისების განვითარებისთვის 2022 წლის აპრილის თვეში ჩატარდა კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების შემოწმება, რაც აისახა შესაბამის „ინფორმაციული ტექნოლოგიების შემოწმების აქტში“ (26.04.2022). მოხდა კოლეჯში არსებული ინფორმაციული ტექნიკის აღწერა, ზოგადად, მათი შემოწმება და პროგრამული განახლება. 2022 წლის სექტემბრის თვეში ჩატარდა კოლეჯის ინფორმაციული

ტექნოლოგიების შემოწმება, რაც აისახა შესაბამის „ინფორმაციული ტექნოლოგიების შემოწმების აქტში“ (30.09. 2022). მოხდა კოლეჯში არსებული ინფორმაციული ტექნიკის აღწერა, ზოგადად, მათი შემოწმება და პროგრამული განახლება.

ასევე, მოხდა საინფორმაციო ტექნოლოგიის განახლება და შეძენა, რაც გაწერილია შესაბამის შეფასების გრაფაში - 2021 წლის დეკემბერში შეძენილ იქნა კომპიუტერები i5 და i3, ასევე, მოხდა ინფორმაციული ტექნიკის მუშაობის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა კაბელებისა თუ სხვა აუცილებელი აქსესუარების შეძენა. 2022 წლის ივლისის თვეში მარნეულის კოლეჯმა კომპანია შპს ისლაბისგან შეიძინა ინფორმაციული ტექნიკა: პროექტორი 2 ც, კომპიუტერის შიდა მეხსიერების ბარათი 2 ცალი, ლეპტოპის ოპერატიული მეხსიერება 1 ცალი და ა.შ. გარდა ამისა, შერემონტდა კოლეჯში არსებული ვიდეოჩამწერი (ხელშეკრულება N89)

პასუხისმგებელმა პირმა საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა მიმდინარე შეფასების გრაფაში გაწერა, რომ 2021 წლის ნოემბერს მოხდა სტუდენტების ბაზის განახლება/სტუდენტების მობილურის ნომრებისა და ელ. ფოსტების გადამოწმება-ჩანაცვლება. ასევე, ბაზის უფრო მარტივად სამართავად ექსელის ფაილში განხორციელდა ტექნიკური ცვლილებები. ასევე, წლის განმავლობაში უწყვეტად ხდებოდა კოლეჯის ვებ-გვერდის განახლება: ძველი დოკუმენტების განახლებულით ჩანაცვლება, როგორიცაა: კატალოგი, პერსონალის მართვის წესი, უსაფრთხოების დებულება და ა.შ; ფოტოების, სიახლეების, განთავსება. განცხადებების განახლება, ტექნიკური ხარვეზების გამოსწორება, ახალი ღილაკების, ფუნქციების დამატება და ა.შ.

IT უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების და ღონისძიებების გატარების მხრივ ყველა აქტივობა შესრულდა - კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 28 აპრილისN 3355 ბრძანების საფუძველზე შპს მარნეულის კოლეჯის უსაფრთხოების დებულებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც დაემატა მუხლი ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების პოლიტიკა განსაზღვრავ კოლეჯის დაცულობას ინფორმაციის კონფიდენციალობის, მთლიანობის და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ასევე, კოლეჯის ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობებს. შპს მარნეულის კოლეჯის უსაფრთხოების დებულების (თავი 13 -ინფორმაციული უსაფრთოების პოლიტიკა) მიხედვით კოლეჯის ძირითადი მონაცემის სარეზერვო ასლების შენახვაზე პასუხისმგებელი პირი (ინფორმაციული ტექნოლოგიის სპეციალისტი) ახორციელებს კოლეჯის ადმინისტრაციის კომპიუტერებიდან მონაცემების სარეზერვო ასლების შენახვას. გარდა ამისა, 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმაში უნდა 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმაში უნდა განისაზღვროს პერსონალისთვის განკუთვნილი უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე და გაცნობაზე პასუხისმგებელი პირი. (მარეგულირებელ დოკუმენტებში ცვლილების განხორციელების სამუშაო ჯგუფის ოქმიN11-18.04.2022) კოლეჯის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა გაიწერა შპს მარნეულის კოლეჯის უსაფრთხოების დებულებაში, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის 28 აპრილს. უსაფრთხოების დებულების საფუძველზე ინფორმაციული ტექნოლოგიის სპეციალისტი ახორციელებს კოლეჯის ძირითადი ინფორმაციის სარეზერვო ასლების შენახვას სპეციალურ სერვერებში.

ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი და სპეციალისტების მიერ გაწერილი შეფასების გრაფაში გაწერილია, რომ ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ 2022 წლის თებერვლის თვეში ხარისხის სამსახურის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგად აღმოაჩინა, რომ როგორც ხარისხის სამსახურის ასევე, კოლეჯის სამოქმედგო გეგმაში მოცემულ აქტივობასთან დაკავშირებით იყო არასწორი ვადები გაწერილი, რეალურად - საინფორმაციო და საკომუნიკაციო რესურსის, მათ შორის IT პროცესების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება - მოხდა 2021 წლის 6 ნოემბერს რაც დასტურდება N37 აქტით. და მეორე ეტაპი განხორციელდა 2022 წლის 8 აპრილს რაც დასტურდება N34 აქტით.

უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა

აღნიშნული ამოცანის აქტივობებზე პასუხისმგებელი პირის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ შევსებული შესაბამისის შეფასების გრაფაში გაწერილია, რომ 2021 წლის ოქტომბერში მოხდა კოლეჯში არსებული ცეცხლმაქრების შემოწმება, რაც აისახა 2021 წლის 4 ოქტომბრის ცეცხლმაქრების შემოწმების აქტში . ყველა ცეცხლმაქრი იყო წესრიგში და დამუხტული. შემოწმდა Aდერეფანი, |Bდერეფანი, ფარმაცევტული ლაბორატორია. ელ.გაყვანილობისა და საევაკუაციო გასასვლელების შემოწმება/რევიზია. კვამლის, სახანძრო და ვიდეო დეტექტორების ტესტირება/რევიზია. 2021 წლის ნოემბერში მოხდა კოლეჯში არსებული ელ.გაყვანილობის, საევაკუაციო გასასვლელებისა და სახანძრო სიგნალიზაციის შემოწმება, რაც აისახა სათანადო შემოწმების აქტში N 8 (25.11.2021). შემოწმება ჩატარდა, არსებითი ხარვეზი არ დაფიქსირებულა. 2021 წლის 30 ნოემბერს და 2022 წლის 16 მაისს კოლეჯში ჩატარდა კოლეჯის ადმინისტრაციისა და პედაგოგების ხანძარსაწინააღმდეგო, ერგონომიკული და პანდემიასთან დაკავშირებული პრევენციული ინსტრუქტაჟი/ტრენინგი. მსმენელები გაეცნენ შრომის უსაფრთხოების ბაზას, კოლეჯის ვალდებულებებს დასაქმებულების ვალდებულებებს და უფლებებს, ასევე, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესებს და არსებულ რისკებს ელექტროუსაფრთხოების წესებს და რისკებს, პირველადი ექიმამდელი დახმარების ზოგად წესებს. 2021 წლის 30და 26 ნოემბერს და 2022 წლის 17 მაისს კოლეჯში ჩატარდა კოლეჯის სტუდენტებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო, ერგონომიკული და პანდემიასთან დაკავშირებული პრევენციული ინსტრუქტაჟი/ტრენინგი. მსმენელები გაეცნენ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესებს და არსებულ რისკებს, ელექტროუსაფრთხოების წესებს და რისკებს, პირველადი ექიმამდელი დახმარების ზოგად წესებს. 2021 წლის ნოემბერში მოხდა ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დარგობრივი სპეციფიკით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმების შემოწმება.სადაც ინახება და სასწავლო პროცესში გამოიყენება ქიმიური რეაქტივები. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ყველა რეაქტივი არის მოთავსებული შესაბამის ჭურჭელში, თავდახურული და ინახება ჩაკეტილ სათავსოში. რეაქტივების ჭურჭელი არაა დაზიანებული, არის ეტიკიტირებული. ლაბორატორიაში ინახება უსაფრთხოების დაცვის საშუალებები (ხალათი, სათვალე, რეზინის წინსაფარი, ცეცხლმაქრი, პირველადი დახმარების ყუთი). გამართულად მუშაობს კონდიციონერი, გამწოვი კარადა, წყალგაყვანილობის ნიჟარა. სტუდენტებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მათ მასწავლებელმა მიაწოდა ინფორმაცია უსაფრთხოების წესების შესახებ. შემოწმების შედეგებია აისახა შესაბამის შემოწმების აქტში N5 (06.12.2021) . 2021 წლის ნოემბერში მოხდა ინფორმაციის ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დარგობრივი სპეციფიკით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმების შემოწმება. ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული პროგრამის სპეციფიკა გულისხმობს ელექტრომოწყობილობების აქტიურ გამოყენებას სწავლების პროცესში, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კომპიუტერული ლაბორატორიების ელექტრო მოწყობილობებს, პერსონალური კომპიუტერების ელექტროქსელზე მიერთების უსაფრთხოებას, ელექტრობუდეები მყარადაა მიმაგრებული კედელზე და ყველა სადენი დაფარულია ინერტული მასალის არხებით, ოთახები ნიავდება თავისუფლად, სასწავლო მიზნებისათვის გამოსაყენებელი ხელსაწყოები დაცულია საკეტიან კარადაში და სტუდენტებს ხელი არ მიუწვდებათ მასწავლებლის გარეშე. შესვენებაზე მასწავლებლის არყოფნის დროს ლაბორატორია იკეტება, რაც უსაფრთხოების დასაცავად ძალიან მნიშვნელოვანია. შემოწმების შედეგებია აისახა შესაბამის შემოწმების აქტში N6 (06.12.2021)

ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი და სპეციალისტების მიერ გაწერილი შეფასების გრაფაში გაწერილია, რომხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ 2022 წლის თებერვლის თვეში ხარისხის სამსახურის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგად (2022 წლის. 26 თებერვალი N12.) აღმოაჩინა, რომ როგორც ხარისხის სამსახურის ასევე, კოლეჯის სამოქმედგო გეგმაში მოცემულ აქტივობასთან დაკავშირებით იყო არასწორი ვადები გაწერილი, რეალურად - კოლეჯში დაცული უსარფთხოების ნორმების ავტორიცაზიის სტრანდარტთან შესაბამისობის შემოწმება- მოხდა 2021 წლის 6 ნოემბერს რაც დასტურდება N37 აქტით. და მეორე ეტაპი განხორციელდა 2022 წლის 8 აპრილს რაც დასტურდება N34 აქტით.

ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა

ფინანსური უზრუნველყოფის ამოცანისათვის გაწერილი ყველა აქტივობა შესრულებულია - 2021 წლის 28ივლისს შპს მარნეულის კოლეჯის დებულების (მუხლი 10. პროფესიული პროგრამის ღირებულების განსაზღვრა) შესაბამისად მომზადდა და დირექტორს წარდეგინა 2021-202 სასწავლო წელს განსახორციელებელი პროგრამების ღირებულების გაანგარიშება, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა პროგრამაზე სტუდენტისათვის სწავლის გადასახადის ოდენობა. "2021 წლის 25 ოქტომბერს მომზადდა და დირექტორს წარდეგინა ანგარიში 1. 2020-2021 წლის ფინანსური ანგარიშის შესახებ 2. 2021-2022 სასწავლო წლის საპროგნოზო ბიუჯეტის შესაებ 2020-2021 წლის ანგარიშიდან დადგინდა, რომ პროგნოზის სესაბამისად ორგანიზაცია მუშაობს მოგებაზე და ფინსურად სტაბილურია." სადაზღვევო კომპანია ირაოსთან კოლეჯის ქონების დაზღვევის ხელშეკრულება გაფორმდა 2022 წლის 4 მაისს (N1638/22)

6. ქვემო ქართლის მრავალეთნიკური ახალგაზრდების სამოქალაქო და კულტურული ინტეგრაცია

სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ შევსებული შესაბამის შეფასების გრაფიდან იკვეთება, რომ 2022 წლის 6-14 აპრილს კოლეჯში გაიმართა ქართული ენის კვირეული, რომელიც დასრულდა სტუდენტური თვითშემოქმედების საღამოთი.

მიერ შევსებული შესაბამის შეფასების გრაფიდან იკვეთება, რომ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 13 დეკემბრის N7841 ბრძანებით ქართული ენის შემსწავლელ კურსებზე დამატებითი ანაზღაურების გარეშე ჩაირიცხა კოლეჯის მსმენელები. 2021 წლის 13 დეკემბრის N7841 ბრძანებით ქართული ენის შემსწავლელ კურსებზე ჩარიცხულმა მსმენელებმა დაასრულეს სწავლა და გაიღრმავეს სახელმწიფო ენის ცოდნა.

სოციალიზიის და ინტეგრაციის ხელშეწყობა.

სტუდენტებისთვის კულტურული ღონისძიების - „საახალწლო კარნავალი“ ჩატარება - საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ შევსებული შესაბამის შეფასების გრაფიდან იკვეთება <u>აქტივობა არ განხორციელდა.</u> კოლეჯის მზადყოფნისა და ორგანიზების დაწყების მიუხედავად, დაგეგმილ დიდ ღონისძიებაში (საახალწლო კარნავალი სტუდენტებისთვის) მონაწილეობის მიღებისაგან თავი შეიკავა სტუდენტების 95%-მა (ეპიდ-სიტუაციიდან გამომდინარე). ამიტომ, საახალწლო კარნავალი ჩატარდა კოლეჯში, ყველა მსურველი დაესწრო „მინი-წვეულებას“.

იქვე აღნიშნულია, რომ არშესრულდა შემდეგი აქტივობაც სტუდენტების სპორტული ღონისძიებება -„იცხოვრე ჯანსაღი ცხოვრების წესით“ <u>არ განხორციელდა.</u> კოლეჯის მიერ შეთავაზებული ღონისძიების მიუხედავად, არ გამოიკვეთა სტუდენტების ჩართულობის სურვილი.

ხოლო აქტივობა საქველმოქმედო აქციის ორგანიზება შესრულდა - 2021 წლის ნოემბერში დაიწყო/დაიგეგმა სოციალური ღონისძიების - საქველმოქმედო აქციის ორგანიზება. ადმინისტრაციისა და დირექტორის შეთანხმებით, აქცია ჩატარდა წინასაახალწლოდ, დეკემბერში. კოლეჯში შეგროვდა ტკბილეული, საჩუქრები, სურსათი, სათამაშოები. 30 დეკემბერს საზეიმო ვითარებაში საჩუქრები გადაეცათ მარნეულში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებსა და უკიდურესად გაჭირვებულებს.

სოფიო გომელაური

2022 წლის 25 ოქტომბერი